საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-956

ქ. თბილისი

25/06/2021

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ

2020 წლის 22 ივნისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ ითხოვა მასზე ალაზანი ჰესის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე გაცემული №2-17 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ და ამ უკანასკნელმა კი - მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ალაზანი ჰესის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (16.01.2012).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2020 წლის 10 იანვარს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-17 ბრძანება „შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ალაზანი ჰესის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში გადაწყვეტილების მფლობელი და პირი, რომელსაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცემა, პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2012 წელს გაცემული №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, პროექტი გულისხმობდა არსებული ჰესის რეაბილიტაციას, რომლის თანახმად დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 6 მგვტ-მდე. აღნიშნული პროექტის თანახმად, ჰესის ტერიტორიის მიმდებარედ, შემაღლებულ ადგილას განთავსებულია 110/10 კვ ღია ქვესადგური „ალაზანი“. ქვესადგურის რეაბილიტაცია განპირობებული იყო მისი არასახარბიელო მდგომარეობითა და ჰესის სიმძლავრის გაზრდით. სარეაბილიტაციო სამუშაოების ვადად განისაზღვრა ორი თვე. გზშ-ის თანახმად, ქვესადგური წარმოადგენს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებას.

წარმოდგენილი ხელშეკრულებით კომპანიების მიერ განისაზღვრა ის ვალდებულებები, რომლებსაც შეასრულებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ქვესადგურის გადაცემის შემდგომ. ხოლო სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ ქვესადგურის გადაცემის შემდგომ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ ვალდებული იქნება შეასრულოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაზე თანდართული 2012 წლის 16 იანვრის №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები, გარდა ღია ქვესადგურთან დაკავშირებული საქმიანობისა.

2020 წლის ივლისში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოხდა ალაზნის ჰიდროელექტროსადგურის დათვალიერება-შემოწმება, რომლის დროსაც გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დარღვევა არ გამოვლენილა. აღნიშნული მასალები სამინისტროში გადმოიგზავნა 2021 წლის 1 აპრილს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ალაზანი ჰესის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 იანვრის №2-17 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ნაწილობრივ გადაეცეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 110/10 კვ ღია ქვესადგური „ალაზანის“ ექსპლუატაციის ნაწილში;

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ღია ქვესადგური „ალაზანის“ ექსპლუატაცია და მასთან დაკავშირებული საქმიანობა უზრუნველყოს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ალაზანი ჰესის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 იანვრის №2-17 ბრძანებით და გზშ-ის ანგარიშით დადგენილი იმ პირობების დაცვით, რაც ეხება ღია ქვესადგურის ფუნქციონირებას;
3. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ უზრუნველყოს ალაზანი ჰესის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 იანვრის №2-17 ბრძანებით დადგენილი პირობების დაცვა, გარდა ამ ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებული ღია ქვესადგურთან დაკავშირებული საქმიანობისა;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ბრძანება გაეგზავნოს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი